

დამტკიცებულია დირექტორის 2017 წლის 4 სექტემბრის ბრძანებით N04-69
დანართი N1
ცვლილება: დირექტორის 2017 წლის 13 სექტემბრის ბრძანებით N04-83
დანართი N1
დირექტორის 2017 წლის 8 ნოემბრის ბრძანებით N04-97
დირექტორის 2017 წლის 24 ნოემბრის ბრძანებით N04-110
დანართი N1

სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯი



პროფესიული პროგრამა: ტრაქტორისტ -მემანქანე

საკონტაქტო ინფორაცია:

მცხეთის რაიონი , სოფელი წინამძღვრიანთკარი

მცხეთა

2017

- I. **სახელწოდება:** ტრაქტორისტ-მემანქანე
- II. **სარეგისტრაციო ნომერი:** 10403-3
- III. **მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია:** ტრაქტორისტ-მემანქანის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
- IV. **საკანონმდებლო ბაზა:**
- საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ
 - ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო
 - ტრაქტორისტ-მემანქანის პროფესიული სტანდარტი
- V. **დაშვების წინაპირობა:** საბაზო განათლება
- VI. **კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები:**
პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს მექანიზატორად მცირე, საშუალო და მსხვილ ფერმერულ და სასათბურე მეურნეობებში, სარწყავი სისტემების დარგობრივ საწარმოებში, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შესანახ და გადამამუშავებელ კომპანიებში, სპეციალიზირებული მანქანების ტექნიკური სერვისის სადგურებში და სარემონტო საწარმოებში, დილერული მომსახურების პუნქტებში. შესაძლებელია თვითდასაქმებაც კერძო პროფესიული პრაქტიკის განხორციელების გზით.
- VII. **მიზანი:**
პროგრამის მიზანია, მოამზადოს და შრომის ბაზარს შესთავაზოს კვალიფიციური ტრაქტორისტ-მემანქანე, ვინც ასრულებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის სამანქანო ტექნოლოგიებით წარმოებას თანამედროვე ტექნიკური საშუალებების გამოყენებით. პროგრამა ორიენტირებულია რესურსდამზოგი ტექნოლოგიების პრინციპებისა და პრაქტიკის გამოყენებაზე, რაც პირდაპირ კავშირშია აგროკომპანიებისა და ფერმერული მეურნეობების წარმატებულ საქმიანობასთან.
- VIII. **სწავლის შედეგები:**
პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:
- სამუშაოს ორგანიზება
 - შრომის უსაფრთხოების და გარემოს დაცვა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისას
 - სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მართვა, მომსახურება
 - ნიადაგის დამუშავება
 - სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესვა, აღება
- IX. **ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება:**
სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივმა კოლეჯმა ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შეიმუშავა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა.

X. სტრუქტურა და მოდულები:

სავალდებულო ზოგადი მოდულები		სავალდებულო პროფესიული მოდულები		არჩევითი მოდული/მოდულები	
დასახელება	კრედიტი	დასახელება	კრედიტი	დასახელება	კრედიტი
ინფორმაციული წიგნიერება 1	3	გაცნობითი პრაქტიკა - ტრაქტორისტ-მემანქანე	2	საგზაო მოძრაობის წესები	6
რაოდენობრივი წიგნიერება	2	საწარმოო პრაქტიკა - ტრაქტორისტ-მემანქანე	8		
ინტერპერსონალური კომუნიკაცია	3	პრაქტიკული პროექტი - ტრაქტორისტ-მემანქანე	5		
მეწარმეობა 1	2	შრომის უსაფრთხოება და გარემოს დაცვა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისას	3		
უცხოური ენა	4	სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მართვა, მომსახურება	6		
სამოქალაქო განათლება	2	ნიადაგის დამუშავება	4		
		მარცვლეული კულტურების თესვა	2		
		ბოსტნეული კულტურების თესვა	3		
		ნიადაგის განოყიერება და მცენარეთა დაცვა	2		
		საკვებწარმოება (თივის დამზადება, სილოსის აღება)	3		
		თავთავიანი და სათოხნი	3		

		კულტურების აღება			
		ბოსტნეული კულტურების მოსავლის აღება	2		
		კულტექნიკური სამუშოების ჩატარება	3		
სულ:	16	სულ:	46	სულ:	6

XI. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება:

კრედიტის მინიჭება ხორციელდება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე.

სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია:

- ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით (ჩათვლა);
- ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების დადასტურება განათლების და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესით;
- გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

- ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
- ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში.

XII. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება:

პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.

XIII. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის:

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დამღვევის გარეშე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - XII პუნქტით გათვალისწინებული წესით.

XIV. კოლეჯის პარტნიორები:

შპს მექანიზატორი

XV. არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტების სწავლება

მოდულის ქართული ენა A2 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის ბრძანება №152/6 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით

XVI. პროგრამის განხორციელების ადგილი:

პროგრამა ხორციელდება მცხეთის რაიონის სოფელ წინამძღვრიანთკარში

პროგრამის განსახორციელებლად გამოყენებულია სასწავლო აუდიტორია N104 , ტრაქტორისტის სახელოსნო (ოთახი N109) და კოლეჯის კუთვნილი სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთები.

XVII. პროგრამის ხანგძლივობა: 14 თვე

პროგრამის დანართები:

დანართი 1 - სასწავლო გეგმა

დანართი 2 - პროგრამის განმახორციელებლები

დანართი 3 - ინფორმაციული წიგნიერება 1

დანართი 4 - რაოდენობრივი წიგნიერება

დანართი 5 - ინტერპერსონალური კომუნიკაცია

დანართი 6 - მეწარმეობა 1

დანართი 7- უცხოური ენა

დანართი 8 - სამოქალაქო განათლება

დანართი 9 - გაცნობითი პრაქტიკა - ტრაქტორისტ-მემანქანე

დანართი 10 - საწარმოო პრაქტიკა - ტრაქტორისტ-მემანქანე

დანართი 11 - პრაქტიკული პროექტი - ტრაქტორისტ-მემანქანე

დანართი 12 - შრომის უსაფრთხოება და გარემოს დაცვა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისას

დანართი 13 - სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მართვა, მომსახურება

დანართი 14 - ნიადაგის დამუშავება

დანართი 15 - მარცვლეული კულტურების თესვა

დანართი 16 - ბოსტნეული კულტურების თესვა

დანართი 17 - ნიადაგის განოყიერება და მცენარეთა დაცვა

დანართი 18 - საკვებწარმოება (თივის დამზადება, სილოსის აღება)

დანართი 19 - თავთავიანი და სათოხნი კულტურების აღება

დანართი 20 - ბოსტნეული კულტურების მოსავლის აღება

დანართი 21 - კულტტექნიკური სამუშაოების ჩატარება

დანართი 22 - საგზაო მოძრაობის წესები

დანართი 23- ქართული ენა A2